აფსკის დაშლისას წარმოიქმნება სხვადასხვა ზომის წვეთები, არის ისეთი მცირე ზომის წვეთებიც, რომლებიც მაღევე ორთქლდება, ეს წვეთები უარყოფითად მოქმედებს საერთო თბოგაცემის ინტენსიურობაზე, რადგან უკან აბრუნებს იმ ორთქლის ნაწილს, რომელიც აფსკზე დაკონდენსირდა. აღნიშნული პროცესი შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეორეული კონდენსაცია. მეორეული კონდენსაციის პროცესში მონაწილე წვეთების ჯამურ მასას თუ აღვნიშნავთ m -ით და სრულ კონდენსატის მასას G -თი, მათ ფარდობას კი S -ით, მაშინ $S=m/G$. S არის მეორეული კონდენსაციის კოეფიციენტი, რომლის სიდიდეც იცვლება 0-დან 1-მდე, m – წვეთების ჯამური მასა, რომელიც წარმოქმნისთანავე იწყებს აორთქლებას. ეს არის ის წვეთები, რომელთა რადიუსი უფრო მცირეა, ვიდრე საჭიროა ორთქლის გაჯერება მათი მდგრადობისთვის. გაჯერების სიდიდე წვეთის რადიუსთან მიმართებით მოცემულია პირველ ცხრილში [3] და გრაფიკზე. გრაფიკზე მოცემული ხაზი არის საზღვარი, რომელიც გვიჩვენებს, თუ ორთქლის მოცემული გაჯერების დროს რომელი პროცესი განვითარდება – კონდენსაციის თუ აორთქლების. თუ წვეთის დიამეტრი ხაზის მარცხნივ არის, მაშინ წვეთი აორთქლდება, მაგრამ თუ მარჯვნივ – წვეთზე წავა კონდენსაცია. ორთქლის გაჯერება წვეთის გარშემო სითხის ბრტყელ ზედაპირთან შედარებით იანგარიშება კელვინის ფორმულით


$$\ln(\Pr / P_\infty) \frac{2M\sigma}{rRT\rho} = \frac{2V\sigma}{rRT}, \quad (2)$$

სადაც \Pr არის წვეთსა და P_∞ -ბრტყელ ზედაპირზე ნაჯერი ორთქლის წნევა; r – წვეთის რადიუსი; T – აბსოლუტური ტემპერატურა; M – მოლური მასა; R – უნივერსალური მუდმივა; ρ – სითხის სიმკვრივე; σ – წვეთის ზედაპირული დაჭიმულობა; V – მოცულობა.

როგორც ფორმულიდან ჩანს, წვეთის ზედაპირზე ორთქლის წნევა მარტო წვეთის რადიუსზე არ არის დამოკიდებული, მასზე გავლენას ახდენს წვეთის ზედაპირული დაჭიმულობა და ორთქლის ნაჯერობის ტემპერატურა. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული სიდიდეების გავლენასაც, მაშინ აორთქლებადი წვეთების კრიტიკული რადიუსი გაიზრდება, რადგან კონდენსაციის დროს ორთქლსა და კონდენსაციის ზედაპირს შორის გვაქვს ტემპერატურათა სხვაობა. ამიტომ ფორმულაში შემავალი სიდიდეები უნდა ავიდოთ კედლის ტემპერატურის მიხედვით, რადგან დაშლისას აფსკს კედლის ტემპერატურა ჰქონდა, ვინაიდან ის კედლზე იყო განლაგებული და წვეთის აორთქლების პროცესიც წვეთის წარმოქმნისთანავე იწყება. შესაბამისად, უკან დაბრუნებული ორთქლის მასაც მეტი იქნება, რადგან კედლის ტემპერატურა ნაკლებია დაახლოებით იმდენით, რასაც უდრის ორთქლისა და კონდენსაციის ზედაპირს შორის ტემპერატურათა სხვაობა. მე-2 ფორმულის საშუალებით გამოთვლილი წვეთსა და ბრტყელ ზედაპირზე მოქმედი ნაჯერი ორთქლის წნევათა ფარდობა მოცემულია მე-2 ცხრილში (მე-2 ცხრილის [3] შედგენისას ეს სიდიდეები მთლიან მოცულობაში არსებული ორთქლის ტემპერატურის მიხედვით არის აღებული).

ცხრილი 2

r სმ	Pr/P _∞
0,0001	1,001
0,00001	1,01
0,000001	1,12
0,00000023	1,60
0,00000019	1,78
0,00000016	2,00
0,0000001	3,00
0,000000078	4,00
0,000000068	5,00
0,000000061	6,00
0,000000056	7,00
0,000000052	8,00
0,00000005	9,00
0,000000047	10,00
0,000000039	16,50
0,00000002	235,00



წყლის წვეთის ზედაპირზე ნაჯერი ორთქლის
წონასწორობის მრუდი Pr / P_∞ წვეთის დიამეტრთან
დამკიდებულებაში: 1 – ნეიტრალური წვეთისათვის;
2 – დამუხტული წვეთისათვის,
ერთეული მუხტის დროს

მე-2 ფორმულიდან გამომდინარე, თუ ორთქლის ტემპერატურა მცირდება, მაშინ Pr/P_∞ ფარდობა იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ აორთქლებადი წვეთების რაოდენობაც და მასაც დიდია, ე. ი. უფრო დიდი წვეთები იწყებს აორთქლებას და, შესაბამისად, მეორეული კონდენსირებადი ორთქლის რაოდენობაც იზრდება, რაც, თავის მხრივ, ამცირებს თბოგაცემის კოეფიციენტს. ეს ფაქტი განსაზღვრავს, რომ რაც უფრო დაბალ წნევაზე ხდება წვეთოვანი კონდენსაცია, ასევე რაც უფრო იზრდება ტემპერატურათა სხვაობა კონდენსაციის ზედაპირსა და ორთქლის ძირითად მასას შორის, თბოგაცემის კოეფიციენტი მცირდება, რაც მრავალი ექსპერიმენტით მტკიცდება [1]. კონდენსირებული მასა წვეთოვანი კონდენსაციის დროს, ზემოთ მოყვანილი ფორმულირებების შედეგად, შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად (წვეთებზე კონდენსირებულ ორთქლის მასას თუ უგულებელვყოფი):

$$D=G-m \quad (3)$$

სადაც G არის გამყოფი აფსკის სრული მასა; m – კონდენსაციის პროცესის დროს წვეთწარმოქმნის შემდეგ აორთქლებული წვეთების ჯამური მასა.

აორთქლებული წვეთების გათვალისწინებით, თბოგაცემის კოეფიციენტი ტოლი იქნება:

$$\alpha = \lambda / \delta (1 - m/G) \quad (4)$$

სადაც λ არის კონდენსატის თბოგამტარობის კოეფიციენტი, δ კი – კონდენსატორის აფსკის სისქე.

3. დასპანა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამყოფი აფსკის დაშლისთანავე წარმოიქმნება მიკროსკოპული წვეთები, რომლებიც მაშინვე იწყებს ქაოსურ მოძრაობას. მათგან უფრო მცირე დიამეტრისა თრთქლდება. დიდები კი, პირიქით, იზრდება ურთიერთ-დაჯახებისას კოაგულაციის (კოალისცენცია) და, ამავე დროს, მათზე მიმდინარე თრთქლის კონდენსაციის გამო, რომელიც საერთო კონდენსაციის რაოდენობის 10%-ს არ აღემატება. წვეთები, რომლებიც არ თრთქლდება და მოძრაობისას იზრდება, კონდენსაციის შემკრებია, ე.ი. წვეთოვანი კონდენსაციის დროს წვეთები, ძირითადად, კონდენსაციის შემკრებებია და არა თბური პროცესის განმსაზღვრელი ფაქტორი. თბურ პროცესს განსაზღვრავს გამყოფი აფსკი, რომლის სისქე იცვლება (1; 2) 10-დან 100 ნანომეტრამდე. როგორც ცდებით დამტკიცდა (2), ჯერ იზრდება, შემდეგ კი სწრაფად მცირდება 10 ნმ-მდე და იშლება მიკროწვეთებად, რომელთა საწყისი დიამეტრი 10–30 ნმ-ის ფარგლებში შეიძლება იცვლებოდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, წვეთების თავისუფალი გარბენის მანძილი მცირება, დაახლოებით წარმოქმნილი წვეთის რიგისაა, ამიტომ ისინი მაღლევე ეჯახება ერთმანეთს და ხდება მათი კოაგულაცია, დაჯახების რამდენჯერმე გამეორების შემდეგ წვეთი ჯერ ანელებს და შემდეგ წყვეტის მოძრაობას, მანამდე ისინი გრავიტაციული ან სხვა ძალების მოქმედებით არ მოსცილდებიან კონდენსაციის ზედაპირს.

გარდა განხილული პროცესისა, თბოგაცემაზე შეიძლება მოქმედებდეს ასევე კონდენსაციის კოეფიციენტი, რომელიც განხილულია [1]-ში, მაგრამ მისი მნიშვნელობა იმდენად მცირება, რომ შეიძლება უგულებელვყოთ.

ლიტერატურა

1. Исаченко В.П., Осипова В.А., Сукомел А.С. Теплопередача. Москва, 1969 г.
2. Дерягин Б.В. «Реклинивающее давление» - в “Краткой химической энциклопедии”, т. 4, 1965 г.
3. N.N. DAS GUPTA, S.K. GHOSH, A report on the Wilson cloud chamber and its applications in physics, Reviews of Modern Physics, vol. #0.2, pp. 225-290. April, 1946.

შავ 662.76

**ადგილობრივ მყარ სათბობზე მომუშავე
მაღალებების ბათბობის ქვაბების დაწერბა
საქართველოს არაგაზისიცირკებულ რაიონებში**

დ. კუჭუხიძე, ა. ბაბუნაშვილი, ბ. ქურდაძე, კ. კოდუა
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია მყარ სათბობზე მომუშავე მაღალებების ქვაბების გამოყენებით მიღებული სათბობის ეკონომიკის საკითხები. აღნიშნული ქვაბების გამოყენება განხაკუთრებით მიზანშეწონილია იქ, სადაც არ არსებობს გაზმომარაგების სისტემა.

ასეთი ტიპის ქვაბები ჩვენ მიერ დანერგილია საქართველოს სხვადასხვა რაიონში (15 ერთეული) და გამოცდილია გათბობის ორი სეზონის განმავლობაში. მუშაობის დროს ქვაბის მქ კოეფიციენტი აღწევდა $85\div 88\text{-}b$, ხოლო გამავალი ნამწვი აირების ტემპერატურა არ აღემატებოდა $130\div 140^{\circ}\text{C}$ -ს. სათბობის წვის პროცესი მიმდინარეობდა პრაქტიკულად უნაცროდ. ის კულტოგიურად სუვთად.

რაც შეეხება ეკონომიკურ ეფექტს, დიზენის საწვავზე მომუშავე ქვაბების ჩანაცვლებით მყარ სათბობზე მომუშავე ქვაბებით, გათბობის სეზონზე სათბობის ლირებულება შემცირდა $4\text{-}5\%$, ხოლო ელ. ენერგია მომუშავე ქვაბების ჩანაცვლებით შემაზე მომუშავე ქვაბით საექსპლუატაციო ხარჯები შემცირდა თითქმის $3,7\text{-}5\%$ (იხ. ცხრ. 1, 2).

ამ ქვაბების დადგებითი მხარეა ის, რომ:

- სათბობის სრული წვა იძლევა მაღალ მქ კოეფიციენტის მხილებისას, ქვაბი კულტოგიურად სუვთად.
- სათბობად გამოყენება ადგილობრივი ნედლეული: დაბალი ხარისხის შემა, მორები, ხელების ნარჩენები, ხის ტოტები, თხილის ნაჭუჭი, მხებუმზირისა და სიმინდის ლეროები და სხვა. შესაძლებელია გამოვიყენოთ ბიოსათბობიც.
- ბიოსათბობის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია ნელი წვის პროცესის ჩატარება და ერთი ჩატვირთვით შესაძლებელია ქვა-

ბის მუშაობის ხანგრძლივობა 10-12 საათით გაიზარდოს (ზოგიერთ შემთხვევაში 24 საათით).

- ამ ტიპის ქვაბის კენტრალური მარტივია, ის აღჭურვილია საიმედო ავტომატიკით.

საკვანძო სიტყვები: აღვილობრივი სათბობი; საცეცხლე; კონსისტენტური; კონსისტენტური; თბომცვლელი; ავტომატური მართვის კვანძი.

1. შესაგალი

როგორც ცნობილია, ტყეს მრავალგვარი სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური ფუნქცია აქვს (წყალმარეგულირებელი, ნიადაგდაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური, საკურორტო-გამაჯანსაღებელი, რეკრეაციული და სხვა), რომელთა სწორად რეგულირებას და შენარჩუნება-გაძლიერებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება.

ძალიან მნიშვნელოვანია ტყის წყალმარეგულირებელი ფუნქციაც. ის ხელს უწყობს მდინარეებისა და წყლის სხვა რესურსების (ტყეები, წყაროები და სხვა) ნორმალურ და თანაბარ მომარაგებას წყლით, აფერხებს წყალდიდობას, უზრუნველყოფს წყლის ხარისხის გაზრდას, იცავს მას დაბინძურებისაგან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტყის როლი ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდასა და ეროზიისაგან დასაცავად. ტყე იძლევა მრავალგვარ ძვირფას პროდუქტსა და ნედლეულს. ის არის მრავალფეროვანი ფაუნის ადგილსამყოფელი. დიდია ტყის რეკრეაციული და ტურისტული მნიშვნელობა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ საქართველოში ხის მერქნის მომხმარებელი ძირითადად სოფლის მოსახლეობაა, რომელიც მთლიანი მოსახლეობის 45-47,5%-ს შეადგენს და რომლის უდიდესი ნაწილისათვის სათბობის სხვა წყარო უბრალოდ მიუწვდომელია (მაღალი ფასისა და ტექნიკური საშუალებების არარსებობის გამო), ნათელი გახდება, რომ ხე-ტყის ასეთი მასშტაბით გამოყენება ქვეყანას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენებს [2].

აღნიშნულ სიტუაციას შესაძლებელია მოჰყვეს ტყის წყლის შემნახველი და მარეგულირებელი, აგრეთვე ნიადაგდამცავი ფუნქციების მკვეთრად გაუარესება, შედეგად, წყალდიდობებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის გაზრდა, პიდ-

როელექტროსადგურების ციკლურობის დარღვევა, წყალსატევების ჩამონატანით დაბინძურება და სხვა.

სამწუხაროდ, საქართველოში შეშა ფართოდ გამოიყენება სათბობად. საქართველოში არ არსებობს სამრეწველო ტყე, შეშა ლიმიტირებული ენერგორესურსია, რომელიც სწრაფად მცირდება. შეშის საწვავად გამოიყენება დაკავშირებულია – ქვეყნის აუნაზღაურებელი სიმდიდრის – ტყის გაჩეხვასთან.

2. მიზანთადი ნაწილი

ზემოთ მოყვანილი პრობლემის ნაწილობრივი გადაწყვეტა შესაძლებელია ალტერნატიული საწვავის გამოყენებით და დიდი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე მყარი საწვავით მომუშავე გათბობის ქვაბების დანერგვით. ასეთი ქვაბის მქ კოეფიციენტი აღწევს 85-90%-ს. რაც შეეხება ალტერნატიულ საწვავს, „ბიოსაწვავი“ მიიღვდა ხის მერქნისა და სასოფლო სამეურნეო მასალების (თხილის ნაჭუჭი, სიმინდისა და მზესუმზირის დეროები და სხვა) გადამუშავების შედეგად. მიღებული ბრიკეტირებით წარმოებული პროდუქცია სავსებით შესაძლებელია გამოყენებული იყოს ალტერნატიულ საწვავად. ევროპაში ბრიკეტებისა და გრანულების გამოყენების მოცულობა ყოველწლიურად მატულობს. ბიოსაწვავი გამოირჩევა სითბოს გამოყოფის მაღალუნარიანობით, წვის პროცესის დიდი ხანგრძლივობით, მცირე ნაცრიანობითა და ეკოლოგიურობით. დადგენილია, რომ საქართველოში არსებული მხოლოდ თხილისა და ხის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენებისაგან შესაძლებელია დამზადდეს ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად იაფი 350-400 ტონა ბიოსაწვავი [2], რაც შეშაზე მოთხოვნილებას 70-75%-ს აღემატება.


როგორც უკვე ცნობილია, სათბობის ეკონომის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია მაღალი მქ კოეფიციენტის მქონე მყარ სათბობზე მომუშავე გათბობის ქვაბის დანერგვა.

რეკომენდაციას გუწვეთ მყარ სათბობზე მომუშავე მაღალეფებზე ქვაბებს, რომლებიც ჩვენ მიერ დანერგილია საქართველოს სხვადასხვა რაიონში და გამოცდილია გათბობის ორი სეზონის განმავლობაში. მყარ სათბობზე მომუშავე ქვაბების გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია იქ, სადაც არ არსებობს ცენტრალური გაზმომარაგების სისტემა. ამ ქვაბებს დიდი უპირატესობა აქვს ძველ ტრადიციულ დუმელებთან შედარებით. მათი მქ კოეფიციენტი აღწევს 90%-ს.

გარდა ამისა, ძველი ტრადიციული ტიპის გათბობის დანადგარების დიდ ნაკლია სათბობის დაწვის მაღალი სიჩქარე და ქვაბში წვისათვის საჭირო სათბობის „ხელით მიწოდება“. ასეთ ქვაბებში აუცილებელია ყოველ ორ საათში სათბობის დამატებით ჩატვირთვა. ეს გარემოება ამცირებს ქვაბების მქ კოეფიციენტის მნიშვნელობას და ზრდის ექსპლუატაციის ხარჯებს, საჭირო ხდება მათი მუდმივი მეთვალყურეობა.

როგორც გვიჩვენა ახალი ტიპის ქვაბების საწარმოო გამოცდებმა, საცეცხლეში მიმდინარეობს საწვავის სრული წვა. სათბობი იწვის პრაქტიკულად უნაცროდ და ის ეკოლოგიურად სუფთაა. ასეთივე სურათი დაგვანახვა ნამწვი აირების მრავალრიცხოვანი ცდების ანალიზებმაც. სათბობის ჩატვირთვა ხდება 7-8 სთ-ის ინტერვალით. შესაძლებელია ჩატვირთვის ინტერვალის გაზრდაც. ქვაბების მარგი ქმედების კოეფიციენტი აღემატება 85%-ს. ქვაბი მარტივი კონსტრუქციისაა და საიმედოა ექსპლუატაციაში. გამავალი ნამწვი აირების ტემპერატურა არ აღემატება 130-140°C. ქვაბის გამარტივებული სქემა მოცემულია სურათზე.

წვის შედეგად გამოყოფილი სითბო გადაეცემა თბომცვლელს (3). წყალი თბება 70-85°C-მდე და საცირკულაციო ტუმბოს საშუალებით მიეწოდება გათბობისა და ცხელი წყალმომარაგების სისტემას.



მაღალეფექტური ქვაბი შეშაზე (გამარტივებული სქემა)
ძირითადი ელემენტებია: ქვაბის კორპუსი (1); საცეცხლე (2);
თბომცვლელი (3); ავტომატური მართვის
კვანძი (4); შემბერი ვენტილატორი (5)

ამ ქვაბების გამოყენება უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიკურ უფექტურობას (შეშის ხარჯი მცირდება 2,5-ჯერ და მეტად) ტრადიციული ძველი ტიპის შეშის დუმელთან შედარებით, რომელთა მქ კოეფიციენტი არ აღემატება 25-30%-ს და სავსებით აკმაყოფილებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

აღნიშნული ქვაბების საბაზრო დირებულება 20-25%-ით ნაკლებია იგივე წარმადობის გაზის საწვავზე მომუშავე გათბობის ქვაბებთან შედარებით. რაც შეეხება ქვაბების ექსპლუატაციას, ის მარტივია და არ მოითხოვს მაღალკვალიფიციური ცეცხლფარების მომსახურებას. ავტომატური მართვის სისტემა საიმედოდ მუშაობს საჭირო დაცვითი სისტემების გამოყენებით.

მყარ სათბობზე მომუშავე ქვაბები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ საზოგადოებრივ-ადმინისტრაციული, მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების, სკოლების, საბავშვო ბაღების, აბანოების, სათბურებისა და სხვადასხვა უწყების შენობა-ნაგებობის გათბობისა და ცხელი წყალმომარაგებისათვის.

ქვაბი კომპაქტურია და შესაძლებელია დამონტაჟდეს მცირე ზომის გამოყოფილ სათავსში. აღსანიშნავია ისიც, რომ რაიონის გაზიფიცირების შემთხვევაში, ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქვაბების დამამზადებელ ქარხნებში ახორციელებენ აგრეთვე კონსტრუქციულ ცვლილებებს საცეცხლეში, რის შემდეგად აღნიშნულ მყარ სათბობზე მომუშავე ქვაბი შესაძლებელია მარტივად გადაკეთდეს თხევად და ბუნებრივ გაზზე მომუშავე ქვაბად.

ცხრილი 1

**დიზელის საწვავით მომუშავე ქვაბისა და
მყარი სათბობით მომუშავე ენერგოეფექტური ქვაბის
ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებითი ანალიზი**

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
400	160	12	101510	2,0	37,62	72234	137967	106862	4,4-ჯერ	90	85	0,84
			3000	0,127	127	244391	31104			82	65	

ცხრილი 2

**ელ. ენერგიით მომუშავე ქვაბისა და
მყარი სათბობით მომუშავე ენერგოეფექტური ქვაბის
ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებითი ანალიზი**

ქვაბის სიმძლავები, კვტ	გათბობის სეზონი, დღ-დ	მუშაობის ხანგრძლივობა სი/დღ-დ	ქვარი სათბობის საშეავის უდიდესები თვეუწინი, მათ/გალ/გბ	ქვარი სათბობის ფასი, ლარი/ლ	ქვარი სათბობის საათური ხარჯი, გვ/სთ	ქვარი სათბობის საათური ხარჯი, გვ/სთ	ქვარი სათბობის ხარჯი სეზონზე, გვ/გ.	ქვარი სათბობის დირექტულება, ლარ/სეზ.	ონბის კონტინუუმით გაიძობის სეზონზე – სოლარის ქვაბის შეზღიურებით ჩანაცვლების დროს, ლა/გ.სეზ.	სათბობის საექსპლუატაციო ხარჯების შეცვენება, ლა/გ.სეზ.	ქვარი სათბობის დენონირები, გვ/გ.სეზ.	ქვარი სათბობის დენონირები, გვ/გ.სეზ.	ქვარი სათბობის დენონირები, გვ/გ.სეზ.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
150	160	12	-	0,15	156	299520	44928	32797	3,7-ჯერ	90	85	0,35	
			3000	0,127	49,64	95313	12131			82	65		

3. დასპანა

საქართველოს ტყეებს მრავალმიზნობრივი სოციალურ-ეკოლოგიური და ეკონომიკური ფუნქციები აქვს. ზამთრის პერიოდში ხე-ტყის საწვავად გამოყენება დაკავშირებულია ქვეყნის აუნაზღაურებელი სიმდიდრის – ტყის გაჩეხვასთან.

ამ პრობლემის ნაწილობრივი გადაწყვეტა არის ალტერნატიული სათბობის და დიდი მარგი ქმედების კოეფიციენტის მქონე მყარ სათბობზე მომუშავე გათბობის ქვაბების გამოყენება, რომელთა მქ კოეფიციენტი აღემატება 85%-ს.

ამ ქვაბებში შესაძლებელია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება. ეს შეიძლება იყოს დაბალი ხარისხის შემა, ხის მორები, ხე-ტყის ნარჩენები, თხილის ნაჭუჭი და, აგრეთვე, მყარი ბიოსაწვავი.

სათბობი ასეთ ქვაბში იწვის თითქმის უნაცროდ. ამ ქვაბების გამოყენება უზრუნველყოფს მაღალ ეკონომიკურ ეფექტურობას (შემის ხარჯი მცირდება 2,5-ჯერ და მეტად) ტრადიციული ძველი ტიპის ღუმლებთან შედარებით, რომელთა მქანეფიციენტი არ აღემატება 35-30%-ს და ეკოლოგიურად სუფთაა.

აღსანიშნავია, რომ რაიონის გაზიფიცირების შემთხვევაში ჩვენი რეკომენდაციების გათვალისწინებით ხორცელდება მცირე კონსტრუქციული ცვლილებები საცეცხლეში, რის შედეგადაც აღნიშნულ მყარ სათბობზე მომუშავე გათბობის ქვაბი შესაძლებელია მარტივად გადაკეთდეს თხევად და ბუნებრივ გაზზე მომუშავე ქვაბად.

ლიტერატურა

1. მ. გრძელიშვილი, ო. გიორგობიანი. თხევადი და მყარი სათბობით გათბობა. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2011.
2. დ. კუჭუხიძე, ხ. მურდულია, ს. გიურგაშვილი. სათბობის ეკონომიკა საქართველოს არაგაზიფიცირებულ რეგიონებში, ადგილობრივი მყარი საწვავით მომუშავე გათბობის მაღალეფებური ქვაბების გამოყენებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი // შრომები №2(492), თბილისი, 2014.

შაბ 626.627

ნამახმანების დადგმული სიმძლავრის განსაზღვრა

ა. ახვლედიანი, ა. გოგოლაძე, გ. ახვლედიანი, ზ. ბაძალუა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: საბაზო კუთხომის პირობებში, რეკომენდებულია პერიოდის კუთხომის უზენაესობის დადგენიანი სუვთა მიმღინარე დორებულებისა *NPV (Net Present Value)* და ამონაგების შემა ნორმის *IRR (Internal rate of return)* კრიტერიუმების გამოყენებით. სტატიაში განხილულია ნამახვანების მშენებლობის ორი ვარიანტი, პირველი, როცა ნამახვანები მოიაზრება სამჟესიანი კასკადის (ტერიტორიული, ნამახვანი, უონეთი) და მეორე ვარიანტი – ორჰესიანი კასკადის (ტერიტორიული, ნამახვანი) შემადგენლობაში. დასაბუთებულია, რომ ნამახვანების დადგმული სიმძლავრე, ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია იყოს 235 მგვტ სამჟესიან კასკადში და 320 მგვტ – ორჰესიან კასკადში. ამ სიმძლავრეებისათვის დადგენილია პერიოდის მიერ გამომუშავებული კლექტროენერგიის შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდებში შესაბამისი საშუალო შეწონილი ტარიფი, შესაბამისად, ტოლი 6.81 ლარ/კვტ.სთ-ის და 5.43 ლარ/კვტ.სთ-ისა.

საკვანძო სიტყვები: პერიოდული დადგმული სიმძლავრე; ტარიფის დადგენიანი სამახანო განვეხი.


1. შესავალი

პერიოდული დადგმული სიმძლავრის ოპტიმალური მნიშვნელობის დადგენიანი დამოკიდებულია ენერგოეკონომიკურ ფაქტორებზე. იგი განსხვავდებული მეთოდოლოგიით წარმოებს იმის მიხედვით, თუ როგორია პერიოდის განხორციელების სქემა და როგორია იმ კლექტროენერგეტიკული სისტემის შემოდგომა-ზამთრის დატვირთვის გრაფიკი, რომელშიც მან უნდა იმუშაოს. ქვემოთ განვიხილავთ ორი გარიანტისთვის კაშხლური სქემით განხორცილებული ნამახვანებისთვის (მდინარე რიონი სქემა-1)

დადგმული სიმძლავრის შერჩევის საკითხეს, როდესაც იგი ელექტროენერგიას აწვდის მომხმარებელს შემოდგომა-ზამთრის სეზონზე არსებული გაზრდილი მოთხოვნილების გათვალისწინებით.

2. მიზანთაღი ნაშროვი

კაშხლური სქემით განხორციელებული ჰესებისთვის დადგმული სიმძლავრის სიდიდეს მნიშვნელოვნად განაპირობებს შექმნილი წყალსაცავის მოცულობის შესაძლებლობა, მდინარის ჩამონადენის უთანაბრობის დასარეგულირებლად. წყალსაცავის მოცულობის გაზრდა, რეგულირების ხარისხის გაზრდაა, რასაც მივყართ დადგმული სიმძლავრის გაზრდამდე.



მდინარე რიონზე ჰესების კასკადის სქემა

კაშხლის ეკონომიკურად გამართლებული სიმაღლის დასადგენად მიზანშეწილია, მისი სიმაღლე ვზარდოთ რაღაც ინტერვალით, ვთქვათ, 5(გ) ბიჯით და ყო-

ველი სიმაღლისათვის ვიანგარიშოთ წყალსაცავის სასარგებლო მოცულობა და საანგარიშო დაწევა, რომლებიც განსაზღვრავენ დადგმული სიმძლავრის სიდიდეს, ასეთ ანგარიშებში წინასწარ ცნობილია დადგმული სიმძლავრის ეკონომიკურად გამართლებული გარანტის დონე, ამგვარად, აღნიშნული მიდგომის პირობებში ნამახვანკესისთვის დადგმული სიმძლავრის დასადგენად გვრჩება საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის დატვირთვის გრაფიკის მიხედვით განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ნაწარმოები ელექტროენერგიის ისეთი ტარიფებით, როდესაც საანგარიშო პერსპექტივაში (ე.ი. მშენებლობის დამთავრების პერიოდისათვის) მისი გასაღება უზრუნველყოფილი იქნება (ტარიფების მისაღებ დონეს საქართველოში განსაზღვრავს სემეკი) არამარტო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

ამჟამად, საქართველოში ელექტროენერგიის დეფიციტი გვაქვს, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, რაც კიდევ უფრო გაღრმავდება საანგარიშო პერსპექტივაში, ხოლო გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში დადებითი ბალანსია. ცხადია, დადგმული სიმძლავრის ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმით განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ჩვენი ენერგოსისტემის გაზრდილი მოთხოვნილება პერსპექტივაში, არამედ ელექტროენერგიის გასაღების შესაძლებლობა მეზობელ ელექტროენერგეტიკულ სისტემებში (თურქეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასია), ვინაიდან ამ ქვეყნებში ელექტროენერგიის ღირებულება მეტია, ვიდრე საქართველოში, მიზანშეწონილია თუ ეს შესაძლებელი იქნება, ჩვენი სისტემის მუშაობის საიმედოობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით, ელექტროენერგიის ექსპორტირების შესახებ გადაწყვეტილება მივიღოთ საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის დადგენილი ზღვრული ტარიფების მიხედვით. თუ აღმოჩნდება, რომ ნამახვანკესის რომელიმე სავარაუდო დადგმული სიმძლავრისათვის, გენერირებული ელექტროენერგიის ღირებულება ნაკლები ან ტოლია საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების განვითარების გათვალისწინებით გამოთვლილ ზღვრულ ღირებულებასთან შედარებით, ცხადია, ნამახვანკესის მშენებლობა ეკონომიკურად უფერიანი იქნება და მისი გამომუშავების ნაწილის გასაღება მეზობელ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც ინგენიერის შემოსავალს, ისე ქვეყნის ბიუჯეტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნამახვანკესზე ოპტიმალური დადგმული სიმძლავრის დასადგენად, განვიხილეთ სამსადგურიანი კასკადის შესაძლო სიმძლავრეების შემდეგი რვა მნიშვნელობა: 180, 200, 220, 230, 235, 240, 260 და

280 მგვტ. ორსადგურიანი კასკადისა კი – 192, 215, 240, 260, 288, 320, 360 და 380 მგვტ. სიმძლავრის ამ მნიშვნელობებისათვის სათითაოდ გამოვთვალეთ 95%-იანი და 50%-იანი უზრუნველყოფის მქონე გამომუშავებები ცხრ. 1 და ცხრ. 2. (ანგარიშები წარმოებს ჩვენ მიერ შედგენილი კომპიუტერული პროგრამით).

ნამახვანკესის დადგმული სიმძლავრის დადგენა სამსადგურიანი კასკადის (ტვიში, ნამახვანი, ჟონეთი) ცხრილი №1 და ორსადგურიანი კასკადის (ტვიში, ნამახვანი) ცხრილი №2 გარიანტის დროს.

ცხრილი 1


№	ნაკვერცები მემკვიდრეობით	გამომუშავება 95%-იანი უზრუნველყოფა წლისთვის, ძლინ.კვტ.სთ				გამომუშავება 50%-იანი უზრუნველყოფა წლისთვის, ძლინ.კვტ.სთ		
		1	2	3	4	5	6	7
1	180	130	679	810	300	705	1005	
2	200	132	712	844	276	745	1021	
3	220	129	727	855	267	774	1041	
4	230	138	730	868	264	786	1051	
5	235	126	716	872	232	786	1058	
6	240	119	716	831	249	787	1034	
7	260	121	786	837	239	767	1008	
8	280	113	727	802	232	745	974	

ცხრილი 2

№	სიმძლავრე მგბტ-ობით	გამომუშავება 95%-იანი უზრუნველყოფა წლისთვის			გამომუშავება 50%-იანი უზრუნველყოფა წლისთვის		
		მდნ.კვტ.სთ		მდნ.კვტ.სთ	მდნ.კვტ.სთ		მდნ.კვტ.სთ
		კამარი	კამარი	კამარი	კამარი	კამარი	კამარი
1	2	3	4	5	6	7	
1	192	290	550	840	315	595	910
2	215	305	585	890	445	635	980
3	240	312	593	905	405	645	1050
4	260	321	589	910	425	675	1100
5	288	333	587	918	460	690	1150
6	320	332	588	920	490	680	1170
7	360	332	578	910	485	675	1160
8	380	329	571	900	465	675	1140

დადგმული სიმძლავრეების სიდიდესა და შესაბამის გამომუშავებას შორის, აგრეთვე, დადგმულ სიმძლავრესა და მისი განხორცილებისათვის საჭირო დანახარჯებს შორის დამოკიდებულების გრაფიკები ნაჩვენებია სურათზე. როგორც გრაფიკებიდან ჩანს, დადგმული სიმძლავრის ზრდის დროს მშენებლობაზე გასაწევი დანახარჯები თითქმის წრფივი კანონით იზრდება, მაშინ, როდესაც წლიური გამომუშავება გაანგარიშებული, როგორც 95%-იანი უზრუნველყოფის მქონე წლიური ჩამონადენით, ისე 50%-იანი უზრუნველყოფის მქონე ხარჯებით ჯერ იზრდება და შემდეგ, დიდი სიმძლავრეების პირობებში, ნელ-ნელა მცირდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ, ტურბინის დიდი სიმძლავრეების შემთხვევაში, ხდება ჩამონადენის მთლიანი ათვისება და შემოდგომა-ზამთრის სეზონზე წყალსაცავის 2-3 თვეში დაცლა. შემდეგ კი, რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ გაზაფხულის ჩამონადენით

წყალსაცავის გავსება დაიწყება, პესი მუშაობს მკვდარი მოცულობის დონით, ე.ი. მინიმალური დაწნევით, რაც იწვევს გამომუშავებული ენერგიის შემცირებას.



წყალსაცავის დამუშავება-ავსების რეჟიმზე დიდ გავლენას ახდენს სისტემისათვის დაძაბული სადღედამისო დატვირთვის გრაფიკში საპროექტო პესის მიერ დასაფარავი პიკური დატვირთვის ხანგრძლივობა. ჩვენს ანგარიშებში გავითვალისწინეთ რა ამჟამად პიკში არსებული დეფიციტური ზონის ხანგრძლივობა, ყველა განსახილველი სიმძლავრისათვის გარანტირებულად დასაფარავ ხანგრძლივობად ნამახვანესზე მიჩნეული იქნა 4-6 საათი.

გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის კი გარანტირებული სიმძლავრით დასაფარავი ზონა იანგარიშება მოდინებული ხარჯის მიხედვით. თუ აღმოჩნდება, რომ საშუალო თვიური მოდინებული ხარჯი მეტია პესის ტურბინების გამტარუნარიანობაზე, მის ზედმეტ ნაწილს გაატარებს წყალსაშვი და ენერგიას არ მოგვცემს. ასეთი შემთხვევა ხშირად აღინიშნება მცირე დადგმული სიმძლავრეების დროს.

მიზანშეწონილია გარანტირებული სიმძლავრით გამომუშავებული ელექტროენერგია შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულ-ზაფხულის სეზონებისათვის შეფასდეს განსხვავებული ტარიფებით, რაც ინვესტირებული კაპიტალის რეალურად ამოღების ხანგრძლივობას მისაღები სიზუსტით განსაზღვრავს.

საქართველოში, ვინაიდან არ არის შემოღებული შემოდგომა-ზამთრისათვის და გაზაფხულ-ზაფხულისათვის განსხვავებული ტარიფები, ანგარიშებში გამოყენებული იყო საშუალო შეწონილი ტარიფის მნიშვნელობა, რომელიც ზამთარ-ზაფხულის ტარიფების ნებისმიერი თანაფარდობის დაშვების შემთხვევაში ცალ-ცალკე განსაზღვრავს ზამთრისა და ზაფხულის ტარიფებს.

ელექტროენერგიაზე ტარიფები რომ ვიანგარიშოთ ყველა განსახილველი სიმძლავრის შესაბამისი გამომუშავების მიხედვით, აუცილებელია ვიცოდეთ გაწეული კაპიტალის რა ნაწილი მოხმარდა პიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობას და რა ნაწილი – ტურბინა-გენერატორისა და ელექტრომოწყობილობების შეძენა-დამოწმებებას, რადგანაც, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, მათ ამორტიზაციაზე სხვადასხვა პროცენტული განაკვეთებია გათვალისწინებული (ჩვენს შემთხვევაში ვიყენებთ საპროექტო ორგანიზაციის მიერ გაკეთებულ გათვლებს).

ელექტროენერგიის ტარიფის დასადგენ გაანგარიშებებში, როდესაც ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმად ვიყენებთ საბაზო ეკონომიკის პირობებში მიზანშეწონილი სუფთა მიმდინარე დირებულებისა და რენტაბელობის შიგა ნორმის მისაღებ კრიტერიუმებს, საჭიროა ვიცოდეთ ფინანსური ამორტიზაციის პერიოდი. მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია კაპიტალდაბანდების ოდენობასა და ინვესტორის სურვილზე იმის შესახებ, თუ რა პერიოდს მიიჩნევს იგი მიზანშეწონილად ინვესტირებული თანხის ამოხადებად. ეს პერიოდი, როდესაც საქმე გვაქვს კაპიტალტევად ობიექტის განხორციელებასთან, შესაძლებელია იცვლებოდეს 20-30 წლის ფარგლებში. გარდა ამისა, ტარიფის სიდიდეზე გავლენას ახდენს მშენებლობის დაფინანსების სქემა. განვითარებული კაპიტალისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, კაპიტალტევადი ობიექტების მშენებლობის დაფინანსება მეტწილად

ხორციელდება აქციონერული კაპიტალით. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კი ხშირად იყენებენ პროექტის მიერ დაფინანსებას. საქართველოში ასეთი სქემით დაფინანსების განხორციელებისათვის ხელშემწყობი კანონები არ არსებობს და ამიტომ მიზანშეწონილია ვისარგებლოთ წილობრივი კაპიტალით დაფინანსების სქემით, როდესაც მშენებლობის განხორციელებისათვის საჭირო კაპიტალი შედგება კერძო კაპიტალისა და ბანკის სესხისაგან. კერძო კაპიტალის წილი ჯამურ კაპიტალდაბანდებაში შეიძლება იცვლებოდეს 20-50%-ის ფარგლებში. რაც მეტია კერძო კაპიტალის წილი, ბანკს შეუძლია მით უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთით გასცეს სესხი, რადგანაც ბანკისთვის თანხის დაბრუნების რისკ-ფაქტორი მცირდება. ასეთ შემთხვევაში ბანკის სახესხო თანხის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იცვლებოდეს (7-9)%-ის ფარგლებში, ხოლო კერძო კაპიტალის საპროცენტო განაკვეთი – (12-15%-ის) ფარგლებში. ჩვენს ანგარიშებში ბანკის სესხის საპროცენტო განაკვეთად მიჩნეულ იქნა 8%, ხოლო კერძო კაპიტალის მიზანშეწონილ საპროცენტო განაკვეთად – 13%.

ტარიფის დასადგენად გაანგარიშებები შესრულდა ჩვენ მიერ სემეკისთვის რეკომენდებული საანგარიშო პროგრამით. მშენებლობისათვის საჭირო ჯამური კაპიტალდაბანდების, ასევე სამშენებლო სამუშაოთა წარმოების დირექტულების გათვალისწინებით.

შესრულებულ გაანგარიშებათა შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში. როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ელექტროენერგიის ყველაზე დაბალ ტარიფს ვღვძულობთ, როდესაც დადგმული სიმძლავრე 235 მგვტ-ის ტოლია. სამსადგურიანი კასკადის ვარიანტის დროს და 320 მგვტ-ის, ორსადგურიანი კასკადის ვარიანტის დროს სრული დანახარჯის მიხედვით, გაანგარიშებისას ტარიფი შესაბამისად ტოლია 6.81 ცენტ/კვტ.სთ-ის სამსადგურიანი კასკადის ვარიანტის დროს (ტვიში, ნამახვანი, ჟონეთი) და 5.43 ცენტ/კვტ.სთ-ის ორსადგურიანი კასკადის ვარიანტის დროს.

ნამახვანპესის ტარიფები ცენტი/კვტ.სთ სიმძლავრეების მიხედვით სამსადგურიანი კასკადის (ტვიში, ნამახვანი, ჟონეთი) და ორსადგურიანი კასკადის (ტვიში, ნამახვანი) ცხრილი №3 ვარიანტის დროს.

ცხრილი 3

50% -იანი უზრუნველყოფის ტარიფები ცენტი/კვტ.სთ. სიმძლავრეების მიხედვით, სამსადგურიანი კასკადის გარიანტის დროს			50% -იანი უზრუნველყოფის ტარიფები ცენტი/კვტ.სთ. სიმძლავრეების მიხედვით, ორსადგურიანი კასკადის გარიანტის დროს		
	სიმძლავრეები მგვტებში	ტარიფები ცენტი/კვტ.სთ.	სიმძლავრეები მგვტებში	ტარიფები ცენტი/კვტ.სთ.	
1	180	9.68	192	9.65	
2	200	8.71	215	7.56	
3	220	7.10	240	7.03	
4	235	6.81	260	6.18	
5	240	8.22	288	5.91	
6	250	9.81	320	5.43	
7	260	11.59	390	6.71	
8	280	13.00	450	6.93	

განხილული დადგმული სიმძლავრეების მიხედვით, ორსადგურიანი კასკადის გარიანტის დროს (ტვიში, ნამახვანი) ინვესტორს მშენებლობის დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების დადებისას შეუძლია რამდენადმე შეცვალოს ფინანსური ამორტიზაციის პერიოდი, სარგებლის საპროცენტო განაკვეთი და თავისი რეიტინგის შესაბამისად მოიზიდოს სასესხო კაპიტალი დაბალი პროცენტებით, მაგრამ ყველა ასეთი გადაწყვეტილება მიმართული უნდა იყოს ტარიფის შესამცირებლად, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქონლის რეალურად გასაღების რისკი გაიზრდება და, შესაბამისად, გაიზრდება ინვესტირებული თანხის დაფარვის რისკი. მიგვაჩნია, რომ ყველა ზემოთ მოყვანილი ამოსავალი მონაცემის შესაძლო ცვლილებას, ნაანგარიშები ტარიფების შემცირება შეუძლია მხოლოდ 5%-ის ფარგლებში, რაც ნამახვანპესის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების საიმედობას მხოლოდ უმნიშვნელოდ გაზრდის. ეს იმას ნიშნავს, რომ სჯობს, ინვეს-

ტორი მაინც ორიენტირებული იყოს გენერირებული ელექტროენერგიის ჭარბი ნაწილის მეზობელ ქვეყნებში მაღალი ტარიფით ექსპორტირებაზე.

3. დასტვა

საბაზრო ეკონომიკის პირობებში რეკომენდებული ეკონომიკური ეფექტურობის კრიტერიუმების: სუფთა მიმდინარე დირებულებისა, ამონაგების შიგა ნორმის გამოყენებით და საქართველოს ენერგოსისტემის დატვირთვის გრაფიკის გათვალისწინებით დასაბუთებულია, რომ ნამახვანკესის დადგმულმა სიმძლავრემ მიზანშეწონილია შეადგინოს 235 მგვტ სამჟესიან კასკადში და 320 მგვტ – ორპესიან კასკადში. ამ სიმძლავრეების პირობებში, დადგენილია პესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის შემოდგომა-ზამთრისა და გაზაფხულ-ზაფხულის შესაბამისი საშუალო შეწონილი ტარიფი 6.81 ცენტ/კვტ.სთ და 5.43 ცენტ/კვტ.სთ. ეს კი მხოლოდ ოდნავ აღემატება საქართველოს ენერგოსისტემისათვის სემეკის მიერ დამტკიცებული გენერაციის ზღვრულ ტარიფს. მაგრამ მშენებლობის დამთავრების პერიოდისათვის მოსალოდნელია ტარიფის ზრდა იმის გათვალისწინებით, რომ მეზობელ ქვეყნებში სარეალიზაციო ტარიფი გაცილებით დიდია, ამიტომ, ცხადია ნამახვანკესის მშენებლობის ორივე ვარიანტი ინვესტორისთვის რეალურ ეკონომიკურად ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

ჩვენი გათვლებით, რეგიონის რთული ეკოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ნამახვანკესის ორპესიანი კასკადის ვარიანტის მშენებლობა უფრო მიზანშეწონილია.

ლიტერატურა

- ა. ახვლედიანი, ნ. კოდუა, ა. გოგოლაძე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ISSN 1512-410X სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „ჰიდროინჟინერია“ №1-2(15-16), 2013 წ. ქ. თბილისი. „დადგმული სიმძლავრის განსაზღვრა ნამახვანკესის მაგალითზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში“ (გვ. 84-93).
- ა. ახვლედიანი, ნ. კოდუა. სამეცნიერო ტექნიკური ჟურნალი „ენერგია“ №2(54), 2010 წ. ქ. თბილისი. „დადგმული სიმძლავრის დადგენა ჰიდროელექტროსადგურებისათვის საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხუდონკესის მაგალითზე“ (გვ. 3-12).

УДК 693.54

ИЗУЧЕНИЕ КИНЕТИКИ РАСШИРЕНИЯ И САМОНАПРЯЖЕНИЯ ЦЕМЕНТНОГО КАМНЯ ИЗ НАПРЯГАЮЩЕГО ЦЕМЕНТА МЕТОДОМ ГОЛОГРАФИЧЕСКОЙ ИНТЕРФЕРОМЕТРИИ

Г.Л. Далакишвили, К.Р. Хазалиа

(Грузинский технический университет)

Резюме. Использованием метода голограммической интерферометрии выявляется неравномерный характер развития собственных напряжений как во времени, так и по объему цементного камня. В результате зерна заполнителя, а также арматура испытывают воздействие усилий, меняющихся во времени по направлению и величине. Это может стать причиной расшатывания структуры бетона, в некоторой степени ослабляя положительный эффект, достигаемый от применения напрягающих элементов.

Ключевые слова: голограммическая интерферометрия; деформация; динамометрическое кольцо; заполнитель; лазер; самонапрягающий цемент; трещинообразование; матрица.

1. ВВЕДЕНИЕ

За последнее время широко развернулись научные исследования в области совершенствования напрягающих цементов и бетонов. Работы в этом направлении ведутся во многих научных центрах. Всё большее развитие находит производство этого высокоэффективного строительного материала, расширяется область его применения, в том числе в гидротехническом строительстве.

2. ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Расширяющийся цемент

1. Начало схватывания водонепроницаемого расширяющего цемента - не ранее 4 мин, а конец - не позднее 10 мин. Схватывание можно замедлить добавкой СДБ, уксусной кисло-

ты и буры. Линейное расширение - через 1 сут. Твердение цемента должно быть не менее 0,2 и не более 1%.

2. Напрягающий цемент при затворении водой сначала твердеет и набирает прочность, а в последующее время расширяется и напрягает бетон и железобетон. Применяют самонапрягающий цемент в строительстве бетонных плотин, для изготовления напорных труб, напорных и обычных резервуаров для водоснабжения, цементно-бетонных покрытий аэродромов и при строительстве морских сооружений (этот цемент получен В.В. Михайловым).

3. Расширяющийся п/цемент (РПЦ) – гидравлическо-вязкое вещество, получаемое совместным тонким помолом п/цементного клинкера - 58-63%, глиноземистого шлака и клинкера - 5-7%, гипса - 7-10% и гранулированного доменного шлака 23-28%. (РПЦ) быстро твердеет в условиях кратковременного пропаривания, обладает высокой плотностью и водонепроницаемостью во влажной среде в течение 3 суток твердения, обладает способностью расширения.

Целью исследования было изучение кинетики расширения и самонапряжения цементного камня, приготовленного на напрягающем цементе, при двухосном ограничении деформации. Исследование проводилось методом голографической интерферометрии, позволяющей без контакта с образцами получать как качественную, так и количественную оценку деформированного состояния тела [1, 3].

Двухосное ограничение деформации расширения цементного камня осуществлялось при помощи динамометрических колец. Они же служили и формой для изготовления образцов. Динамометрические кольца представляли собой цилиндры, приготовленные из специальной стали с высоким пределом упругости. Размеры колец были: диаметром 100мм, высотой 30мм, толщиной стенки - 1,2 и 3мм. Последней моделировалась разная степень ограничения расширения цементного камня при процентах армирования соответственно 2,4.

Был применен напрягающий цемент НЦ-20, предложенный проф. В.В. Михайловым. Характеристика цемента: сроки схватывания - начало 45 мин, конец - 2 часа 40 мин, нормальная густота цементного теста - 28,5%, В/Ц=0,4.

С целью изучения кинетики обжатия арматурных стержней при формировании образцов, в центральной части втапливались стальные цилиндры гладкого профиля диаметром 20 мм и длиной 30 мм. Отформированные образцы укладывались в эксикатор с относительной влажностью среды 99%. После 24-часового хранения образцы извлекались из эксикатора и укладывались на специальную этажерку для получения голограмм. Съемка голографических интерферограмм производилась одномодовым гелий-неоновым лазером ЛГИ-215 мощно-

стью 60 мВт, длиной волны 632,8 Нм, по двухлучевой схеме методом двойной экспозиции. Время экспозиции 50 секунд. Общая продолжительность съемки голограмм между экспозициями с различными интервалами времени составляла 168 часов. По завершению эксперимента производилось восстановление и считывание интерферограмм с целью определения величин деформации [1, 4].

Динамометрическое кольцо, формы для формирования образцов, изготовлены из специальной стали с высоким пределом упругости.



Рис. 1. Интерферограмма деформации расширения напрягающего цемента, толщина стенки динамометрического кольца 1 мм, возраст образца 45 часов

Рис. 2. Интерферограмма деформации расширения напрягающего цемента, толщина стенки динамометрического кольца 3 мм, возраст образца 72 часов

На рис. 2 - зона развития напряжения и микротрещин в контактной зоне матрицы цементного камня и заполнителя, которые были выявлены методом голограммической интерферометрии, при 24-кратном увеличении не были обнаружены.

3. ЗАКЛЮЧЕНИЕ

Анализ полученных голограммических интерферограмм показал следующее:

1. Деформация расширения интенсивно развивалась в первые 3-5 суток, после чего она постепенно затухала.
2. Деформации расширения в образцах с малой степенью ограничения (процент армирования 2) были заметны с самого начала экспонирования голограмм. При больших ограничениях деформации не были обнаружены.

чениях это наблюдалось, начиная с 2-3 суток. Соответственно, и спад интенсивности расширения при малой степени ограничения наблюдался в более ранние сроки.

3. За время наблюдений, длившихся 10 суток, характер расположения интерференционных полос претерпевал изменения. В начальный период ориентация интерференционных полос приближалась к горизонтальной. В дальнейшем, по мере роста самонапряжения, концы поля загибались вверх и постепенно принимали вид концентрических колец, этот процесс проходил в более медленном темпе при большей степени ограничения деформаций.

Анализ этого явления показал, что в начальный период развития деформаций преобладало влияние собственного веса образцов. В последующем, по мере развития самонапряжения, роль собственного веса в развитии деформированного состояния образца становилась незаметной. На роль собственного веса в возникновении интерференционных полос в начальные сроки твердения указывает и их более частое расположение в нижней части образцов.

В заключение можно отметить, что метод голографической интерферометрии позволил получить полную картину деформирования самонапряженного бетона при различных видах армирования, что будет способствовать выработке более рациональных приёмов конструирования железобетонных элементов.

ЛИТЕРАТУРА

1. Р. Кальер, К. Беркхарт, Л. Лин. Оптическая голография. М.: Мир, 1973 г.
2. Далакишвили Г.Л., Какичашвили Ш.Д., Цилосани З.Н. Исследование деформации усадки бетона методом голографической интерферометрии // Сообщения АН ГС, С. 88. №2, 1977 г.
3. G. Dalakishvili. The effect of cement composition on the cracking resistance // Energyonline, №1(6), 2012.
4. Далакишвили Г.Л., Хазалия К.Р., Иванов Г.П. Определение полей деформации бетона при развитии внутренних напряжений от температурного воздействия методом голографической интерферометрии // Вестник Национального политехнического университета Армении. “Механика машиноведение, машиностроение”, №2. Ереван, 2016 г.

შაბ 621. 81

გულებრივი გაზის გამოყენება და მასთან დაკავშირებული პროცესები

შ. მესტვირიშვილი, დ. კუჭუხიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია საქართველოს გაზმომარაგების ქსელების დღე-განცდელი პრობლემები და გაზის ტექნიკური დანაკარგების გავლენა კლიმატის გლობალურ ცვლილებებზე; ასევე აღნიშნულია საქართველოს როლი გლობალური დათბობის საკითხების გადაჭრაში.

საკვანძო სიტყვები: გაზი; გაზსაღები; კლიმატი; სათბურის გაზი; მეთანი.

1. შესავალი

დღეს მსოფლიოში ენერგომატარებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის განვითარებაში და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მის სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, უფრო მეტიც, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი როლი იტვირთა გაზისა და ნავთობის ტრანზიტის თვალსაზრისით. საქართველოში უკვე გადის გაზისა და ნავთობის მძლავრი სადენები, უმოკლეს დროში, დამთავრდება კიდევ ერთი გაზსაღების მშენებლობა, რომელიც გაზით მდიდარ შეა აზის ქვეყნებს დააკავშირებს ევროპასთან. აღნიშნული გაზსაღენებით წელიწადში მიღიარდობით კუბური მეტრი გაზი გადის და გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს გავლით რუსეთიდან გაზი მიეწოდება სომხეთს, ასევე საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში გაზის ქსელების სიმჭიდროვით. საქართველოში ათასობით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალია დასაქმებული გაზის მეურნეობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანია მცირეოდენი წვლილის შეტანაც კი მსოფლიოსთვის ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში. როგორც გაზის ტრანსპორტირება, ისე გაზის გამოყენების

სფერო ძალიან დიდია და გაზსადენების სრულყოფილი მომსახურება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია. საკითხების არასრული ჩამონათვალიც კი სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის საკითხის მნიშვნელობისა და აქტუალურობის შესახებ. ესენია ეკონომიკა, უსაფრთხოება, ეკოლოგია, სოციალური პრობლემები და სხვა. [1]-ში მოყვანილია აღნიშნული საკითხების ძიება და მიღებული ინფორმაციის ანალიზი.

2. მირითადი ნაშილი

გაზმომარაგების წარმოების ეკონომიკური მხარე პირდაპირ კავშირშია გაზის ტექნიკურ დანაკარგთან. იგი მოქმედებს როგორც გაზის მომწოდებელზე, ისე მომხმარებელზე რადგან დღეს ენერგიის ფასი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც პროდუქციის წარმოებაში მის ფასზე, ისე მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, ვინაიდან გაზის ტექნიკურ დანაკარგს საგრძნობი წვლილი აქვს მის ფასწარმოქმნაში.

უსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გაზის მეურნეობაში, რადგან ბუნებრივი გაზი ჰაერთან შერევისას აფეთქებასაფრთხიან ნარევს წარმოქმნის და ხშირად მის აფეთქებას ლეტალური შედეგი მოსდევს (მაგ., თბილისში, მეტრო ისნის მიმდებარე ტერიტორიაზე გაზის აფეთქებამ 72 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა). აფეთქებასაფრთხიანი ნარევის წარმოქმნა კი, ძირითადად, გაზის ტექნიკურ დანაკარგთან არის დაკავშირებული.

გაზის ტექნიკური დანაკარგი, როგორც ცნობილია, გაზსადენის ჰერმეტულობის დარღვევით არის გამოწვეული. ამ მხრივ გამოირჩევა მიწისქვეშა გაზსადენები. მიწისქვეშა გაზსადენის ჰერმეტულობის დარღვევა, ძირითადად, კოროზიით არის გამოწვეული და ის ვითარდება გარედან სხვადასხვა ფაქტორის მოქმედების შედეგად. ამიტომ მიღსადენზე კოროზიისაგან დამცავი იზოლაციის ფენის დატანას და მის გარემოსთან შესაბამისობას გადამწყვერი მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად მრავალწლიანი გამოცდილებისა, კოროზიისგან დამცავი ისეთი ფენის შექმნა, რომელიც გამორიცხავს ფოლადის მიღების კოროზიას, ჯერ არ არსებობს. აღნიშნულის გამო, მიწისქვეშა მიღების იზოლაციის კონტროლი პერიოდულად აუცილებელია. კოროზია დინამიკური პროცესია. განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როცა მიმდინარეობს ელექტროქიმიური და მოხეტიალე დენებით გამოწვეული კოროზია (2). მიღსადენის კედლის დარღვევა და მისი გაფართოება დამოკიდებულია მიღში

გაზის წნევის სიდიდეზეც, რომელიც შეიძლება იცვლებოდეს დიდი დიაპაზონით. მიღიდან გაზის დანაკარგი კი ფუნქციაა როგორც ნახვრეტის ზომისა და ფორმის, ისე მიღმი წნევის სიდიდისა. გაზმომარაგების სისტემების ექსპლუატაციის დროს, ძალიან ხშირად წნევის სიდიდის ცვლილება აუცილებელია და მისი ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი ხშირად გაზის ტექნიკური დანაკარგის შემცირებაა.

გაზსადენების ნორმალური ექსპლუატაციისათვის აუცილებელია მისი კოროზიული მდგომარეობის შესწავლა, რაც საშუალებას მოგვცემს გაზსადენში ვარგ-გულიროვთ წნევა ისე, რომ წნევის გავლენით არ გაიხსნას კოროზიის ადგილები და, შესაბამისად, არ დაიკარგოს გაზის დიდი რაოდენობა. მხედველობაშია მისადები, რომ გაზგამანაწილებელი ქსელიდან გაზის დანაკარგი არის მიღსადენში არსებული ნახვრეტების რაოდენობის, მათი ზომისა და წნევის ფუნქცია. გაზის დანაკარგი მუდმივია მანამ, სანამ ზემოთ მოყვანილი პირობები მუდმივია. თუ გაზსადენში წნევა გაიზარდა, მაშინ არსებული ნახვრეტების ზომა იზრდება, ახალი ნახვრეტებიც ჩნდება და მიღსადენიდან გაზის გამოდინების სიჩქარეც მატულობს, რაც, თავის მხრივ, გაზის ტექნიკურ დანაკარგს ზრდის. აღსანიშნავია, რომ, თუ გაზრდილი წნევის შემდეგ წნევას საწყის სიდიდემდე დავაბრუნებთ, დაკარგული გაზის რაოდენობა პირვანდელ სიდიდეს აღარ დაუბრუნდება და გვექნება თავისებური პისტერეზისი [3]. ამიტომ საჭიროა წნევის ცვლილებას სერიოზული ყურადღებით მოეკიდონ გაზგამანაწილებელი ფირმები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაზის ტექნიკური დანაკარგის ძირითადი წყაროა კოროზიით გამოწვეული ნახვრეტები და გაუმართავი ჩამკეტმარებულირებელი მოწყობილობები. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში გამოდინებული გაზის რაოდენობა დამოკიდებულია მიღმი არსებული გაზის და გარემოს წნევათა სხვაობაზე, ასევე იმ ნახვრეტის ფორმასა და ზომაზე, რომლიდანაც გამოდის გაზი. სხვადასხვა ფორმის ნახვრეტიდან და შემჭიდროებებიდან გამოსული გაზის რაოდენობა ერმანეთისგან განსხვავდება მხოლოდ მუდმივი სიდიდეებით, თუ წნევათა სხვაობა არ იცვლება.

ზემოთ აღნიშნული პრობლემა უკონტროლოა. მისი კონტროლი შეიძლება მხოლოდ ტექნიკური დანაკარგის განსაზღვრით, რადგან ტექნიკური დანაკრგი ფუნქციაა გაზსადენების კოროზიული მდგომარეობის და გაზის წნევის სიდიდისა.

კვლევია. დღეს მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გარემოს ეკოლოგიური გაჯანსადებაა, რადგან მსოფლიო ბუნებრივი კატაკლიზმები

მასთან არის დაკავშირებული. ენერგეტიკაში ბუნებრივი გაზის გამოყენება მნიშვნელოვანი პროგრესია ეკოლოგიის გაჯანსაღების თვალსაზრისით, რადგან მისი დაწვის დროს ნამწვ პროდუქტებში სათბურის გაზი ნახშირორჟანგი მხოლოდ მესამედს შეადგენს, მეორე მხრივ კი დაუწველი მეთანი – ბუნებრივი გაზის ძირითადი კომპონენტი მძლავრი სათბურის გაზია. კლიმატის გლობალური ცვლილება წარმოადგენს მოვლენას, რომელიც დაკავშირებულია გლობალური ტემპერატურის მატებასთან და გამოწვეულია დედამიწის ატმოსფეროში ზოგიერთი გაზის გადამეტებული კონცენტრაციით, რაც ხელს უშლის დედამიწიდან „ზედმეტი“ სითბოს გამოსხივებას, რაც არღვევს დედამიწის სითბურ ბალანსს. ამ გაზებს ეწოდება „სათბურის გაზები“ და ისინი მოიცავს ნახშირორჟანგს, მეთანს, აზოტის ქვეჟანგს და სხვ. კაცობრიობის ისტორიაში დაფიქსირებული კლიმატის გლობალური ცვლილების ყველა პერიოდისაგან განსხვავებით, თანამედროვე კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საწარმოო საქმიანობით და დაკავშირებულია სათბობის ინტენსიურ გამოყენებასთან.

